საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/247 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

შ. კაკაურიძის გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 23 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 25 დეკემბერს მიღებულ იქნა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე შალვა კაკაურიძის განცხადება.

2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 7 მოსამართლე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ შალვა კაკაურიძეს აქვს გორის რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება და ახასიათებენ მას როგორც კვალიფიციურ და გამოცდილ მენეჯერს.

შალვა კაკაურიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება სენაკის, საჩხერისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. აღნიშნული გარემოება მიანიშნებს, რომ შალვა კაკაურიძე წარმატებით გააგრძელებს მენეჯერულ საქმიანობას გორის რაიონულ სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შალვა კაკაურიძე დაინიშნოს გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ 2020 წლის 30 დეკემბრიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე